ქალაქ თბილისის საკრებულოს
სატრანსპორტო საკითხთა კომისიის
სხდომის ოქმი №40

18 თებერვალი, 2020 | თბილისი, თავისუფლების მოედანი №2
13:00 საათი

<u>**სხდომას ესწრებოდნენ:**</u>

1. შალვა ოგბაიძე - კომისიის თავმჯდომარის მ/შ;
2. გიორგი ახვლედიანი - კომისიის წევრი;
3. ილია ჯიშკარიანი - კომისიის წევრი;
4. დავით რურუა - კომისიის წევრი.

სხდომის დღის წესრიგი:

1. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2020 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 27 დეკემბრის №51-104 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი (12-03200378-03; 06.02.2020).

2. ,,საქართველოს ფინანსთა სამინისტროს, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტსა და შპს "თბილისის სატრანსპორტო კომპანიას“ შორის თბილისის ავტობუსების პროექტის გაგრძელებასთან დაკავშირებით ქვესასესხო ხელშეკრულების გაფორმებაზე ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოდან თანხმობის მიღების თაობაზე, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის განკარგულების პროექტი“ (12-0320037141-03; 06.02.2020).

3. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტის განვითარების სააგენტოს საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 125-ე მუხლის მე-8 და მე-12-მე-14 ნაწილებით, 125 მუხლით, 130-ე მუხლის მე-4 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით, 135-ე-135 მუხლებით გათვალისწინებული ადმინისტრაციული სამართალდარღვევებისათვის შეფარდებული ადმინისტრაციული სახდელის (ჯარიმის) ან/და საურავის დარიცხვის შესახებ დადგენილების ზემდგომ ორგანოში (თანამდებობის პირთან) გასაჩივრებისას, საჩივრის განმხილველ დაგადაწყვეტილების მიმღებ პირად განსაზღვრის შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი (12-03200421-03; 11.02.2020).

4. „საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 125-ე მუხლის მე-8 ნაწილით და 125 მუხლით გათვალისწინებულ შემთხვევებში საჯარიმო ქვითრის ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის ფორმის, მისი შევსების, ჩაბარების, აღრიცხვა-ანგარიშგების, გასაჩივრებისა და

ზემდგომ ორგანოში წარდგენის წესის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 30 მარტის №16-53 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი (12-03200421-03; 11.02.2020).

5. საქართველოს ადმინისტრაციული სამართალდარრვევათა კოდექსის 130-ე მუხლის მე-4 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული სამართალდარღვევისას (ადგილობრივი საქალაქო რეგულარული სამგზავრო გადაყვანის M3 კატეგორიის ავტობუსით მგზავრების უბილეთო მგზავრობა, აგრეთვე ათიდან თექვსმეტი წლის ასაკამდე ბავშვების უბილეთოდ წაყვანა) საჯარიმო ქვითრის ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის ფორმის, მისი შედგენის, ჩაბარების, აღრიცხვა-ანგარიშგების, გასაჩივრებისა და ზემდგომ ორგანოში გადაგზავნის წესის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 22 დეკემბრის №19-70 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი (12-03200421-03; 11.02.2020).

6. „საქართველოს დედაქალაქის - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში ეკონომიკის რეგულირებად სფეროებად განსაზღვრული ავტობუსებით (M3 კატეგორია) და მიწისქვეშა ელექტროტრანსპორტით (მეტრო) ადგილობრივი საქალაქო რეგულარული სამგზავრო გადაყვანისას მოქალაქეთა ცალკეული კატეგორიების შეღავათიანი მგზავრობის შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 27 მარტის №6-25 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი (12-03200421-03; 11.02.2020).

7. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში M_2 კატეგორიის ავტობუსებით ადგილობრივი საქალაქო რეგულარული სამგზავრო გადაყვანისას შეღავათით მოსარგებლე მოქალაქეთა მგზავრობის ფასის/დადგენილი ტარიფის ანაზღაურების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი (12-03200421-03; 11.02.2020).

8. „ქალაქ თბილისის ადმინისტრაციულ საზღვრებში სატრანსპორტო საშუალებების პარკირების რეგულირების წესისა და პარკირების საფასურის დადგენის შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 27 დეკემბრის №33-99 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი (12-03200421-03; 11.02.2020).

9. „საქართველოს დედაქალაქის ადმინისტრაციულ საზღვრებში ადგილობრივი საქალაქო რეგულარული სამგზავრო გადაყვანის მიზნით ავტობუსების (M2 კატეგორია) მოძრაობის მარშრუტების დამტკიცების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 12 დეკემბრის

№17-47 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი (16-03200446-03; 13.02.2020).

10. „საქართველოს დედაქალაქის ადმინისტრაციულ საზღვრებში ადგილობრივი საქალაქო რეგულარული სამგზავრო გადაყვანის მიზნით ავტობუსების (M_3 კატეგორია) მოძრაობის მარშრუტების დამტკიცების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 12 დეკემბრის №17-48 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი (16-03200446-03; 13.02.2020).

11. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტის განვითარების სააგენტოს დაფუძნებისა და დებულების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 24 იანვრის №52-1 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი (16-03200446-03; 13.02.2020).

12. „საქართველოს დედაქალაქის ადმინისტრაციულ საზღვრებში მსუბუქი ავტომობილით - ტაქსით (M1 კატეგორია) გადაყვანის სანებართვო პირობების, ნებართვის გაცემის წესის, ნებართვის მოქმედების ვადის, ნებართვის გაცემის ფასისა და მისი გადახდის წესის, სანებართვო მოწმობის ფორმის, ნებართვის მქონე პირების შესახებ ერთიანი საინფორმაციო ბაზის შექმნის, განახლების და დამუშავების წესის განსაზღვრის შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 27 ივლისის №24-80 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი (16-03200446-03; 13.02.2020).

13. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტის განვითარების სააგენტოს ელექტრონული საქმისწარმოების წესის დამტკიცების შესახებ“ ქაალქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი (16-03200446-03; 13.02.2020).

სხდომას თავმჯდომარეობდა - შალვა ოგბაიძე;

მომხსენებლები:

- **გაიოზ თალაკვაძე** - თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო საქალაქო სამსახურის უფროსი;
- **ვასილ აბულაძე** - თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ტრანსპორტის საქალაქო სამსახურის უფროსის მოადგილე;

- **დავით ჯაიანი** - თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ტრანსპორტის საქალაქო სამსახურის უფროსის მოადგილე;

სხდომის თავმჯდომარემ გახსნა სხდომა და კომისიის წევრებს გააცნო დღის წესრიგი.

შ.ოგბაიძე - წარმოდგენილი პროექტით ბიუჯეტის მოცულობა იზრდება **217 580 000 ათასი** ლარით და შეადგენს **1 238 980 600 ათას** ლარს. აქვე აღსანიშნავია, რომ ბიუჯეტს ემატება ახალი ქვეპროგრამები:

- სატრანსპორტო კომპანიის სუბსიდია (კოდი 01 02 05) - 12 605,5 ათასი ლარი.
- სსიპ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტის განვითარების სააგენტო (კოდი 10 18) - 2 337,2 ათასი ლარი, მომუშავეთა რიცხოვნობა 81 ერთეული.

გ.თალაკვაძე - წარმოდგენილი პროექტის მიხედვით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2020 წლის ბიუჯეტში ცვლილებები ხორციელდება 2019 წელს ფაქტიურად მიღებული შემოსავლებისა და 2020 წლის 1 იანვრისათვის ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ანგარიშებზე არსებული ნაშთების გამოყენების გათვალისწინებით. შესაბამისად, წარმოდგენილი პროექტით ბიუჯეტის მოცულობა იზრდება 217 580 000 ათასი ლარით და შეადგენს 1 238 980 600 ათას ლარს.

იზრდება შემდეგი პროგრამის/ქვეპროგრამის ასიგნებები:

- გზების მშენებლობა და აღდგენა (კოდი 01 01 01) - 9 682,1 ათასი ლარით;
- გზების მოვლა-შეკეთება გლდანის რაიონში (კოდი 01 01 08) - 151,0 ათასი ლარით;
- სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის მოწესრიგების ღონისძიებები (კოდი 01 02 01) - 28 000,0 ათასი ლარით;
- საქალაქო სამგზავრო ტრანსპორტის მოძრავი შემადგენლობის მოდერნიზაცია (კოდი 01 02 02) - 99 738,5 ათასი ლარით;
- საინჟინრო ნაგებობების და ინფრასტრუქტურის ობიექტების მშენებლობა და აღდგენა-რეკონსტრუქცია (კოდი 02 01) - 12 218,0 ათასი ლარით;
- სამუშაოების ტექნიკური ზედამხედველობა, პროექტების ექსპერტიზა, ლაბორატორიული კვლევები და სხვა ღონისძიებები (კოდი 02 03 02) - 750,0 ათასი ლარით;
- გარე განათების ქსელის ექსპლოატაცია და რეაბილიტაცია (კოდი 02 05) - 1 227,9 ათასი ლარით;
- კეთილმოწყობის საქალაქო ღონისძიებები (კოდი 02 09 01) - 440,6 ათასი ლარით;
- ქალაქის განვითარების ხელშეწყობა (კოდი 02 10) - 147,4 ათასი ლარით;
- გამწვანების ღონისძიებები (კოდი 03 01) - 4 700,0 ათასი ლარით;
- დასუფთავების ღონისძიებები (კოდი 03 02) - 5 800,0 ათასი ლარით;
- თბილისის ზოოლოგიური პარკის განვითარების ხელშეწყობა (კოდი 03 03 01) - 600,0 ათასი ლარით;
- აუტიზმის სპექტრის დარღვევის მქონე ბავშვთა რეაბილიტაცია (კოდი 06 01 06) - 700,0 ათასი ლარით;

- საქალაქო საავტობუსო ტრანსპორტით, მიწისქვეშა ელექტროტრანსპორტით (მეტრო) საქალაქო რეგულარული სამგზავრო გადაყვანისას უფასო და შეღავათიანი ტარიფით მოსარგებლე პირთა მომსახურება (კოდი 06 02 11) - 24 644,5 ათასი ლარით;
- საზოგადოების განათლებისა და ინფორმირების ხელშეწყობა (კოდი 07 02 03) - 4 740,0 ათასი ლარით;
- მულტიფუნქციური ბიბლიოთეკების გაერთიანების განვითარების ხელშეწყობა (კოდი 07 03 03) - 426,0 ათასი ლარით;
- პროფესიული განათლების და დასაქმების ხელშეწყობა (კოდი 07 04) - 150,0 ათასი ლარით;
- ს. ახმეტელის სახელობის დრამატული თეატრი (კოდი 08 01 01) - 69,3 ათასი ლარით;
- პანტომიმის სახელმწიფო თეატრი (კოდი 08 01 02) - 40,7 ათასი ლარით;
- თეატრი "გლობუსი" (კოდი 08 01 05) - 30,8 ათასი ლარით;
- სამეფო უბნის თეატრი (კოდი 08 01 08) - 97,9 ათასი ლარით;
- მუზეუმების გაერთიანების ხელშეწყობა (კოდი 08 03 12) - 91,3 ათასი ლარით;
- საკონცერტო ორკესტრი „ბიგ-ბენდი“ (კოდი 08 04 01) - 50,6 ათასი ლარით;
- ხელოვნების ძეგლებისა და პანთეონების მოვლა პატრონობა (კოდი 08 04 03) - 6,6 ათასი ლარით;
- კულტურის დაწესებულებების მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გაუმჯობესების ღონისძიებები (კოდი 08 04 04) - 1 850,0 ათასი ლარით;
- სპორტული მოედნების მშენებლობა, რეკონსტრუქცია (კოდი 08 06 03) - 356,0 ათასი ლარით;
- სპორტული დაწესებულებების მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გაუმჯობესება და მშენებლობა (კოდი 08 06 04) - 2 596,1 ათასი ლარით;
- ახალგაზრდული ღონისძიებების ხელშეწყობა (კოდი 08 08 01) - 2 278,0 ათასი ლარით;
- თბილისის თანამედროვე ბალეტის დასი (კოდი 08 13) - 22,0 ათასი ლარით;
- ცხოველთა მონიტორინგი (კოდი 09 02) - 500,0 ათასი ლარით;
- სარეზერვო ფონდი (კოდი 10 21) - 180,0 ათასი ლარით;
- გარემოს დაცვის საქალაქო სამსახური (კოდი 10 44) - 146,9 ათასი ლარით;

მცირდება შემდეგი პროგრამის/ქვეპროგრამის ასიგნებები:

- კეთილმოწყობის ღონისძიებები გლდანის რაიონში (კოდი 02 09 10) - 151,0 ათასი ლარით;
- თბილისის მუნიციპალიტეტის ქონების დაცვის უზრუნველყოფის (კოდი 09 01) პროგრამის ასიგნება - 1 700,0 ათასი ლარით;
- ტრანსპორტის საქალაქო სამსახურის (კოდი 10 08) პროგრამის ასიგნებები - 988,5 ათასი ლარით;

- ურბანული განვითარების საქალაქო სამსახურის (კოდი 10 45) პროგრამის ასიგნებები - 1 314,0 ათასი ლარის ოდენობით;

<u>ასევე, დაზუსტდა პროგრამების/ქვეპროგრამების ფარგლებში მომუშავეთა რიცხოვნობები. მათ შორის:</u>

იზრდება ტრანსპორტის საქალაქო სამსახურის მომუშავეთა რიცხოვნობა - 42 ერთეულით, ურბანული განვითარების საქალაქო სამსახურის მომუშავეთა რიცხოვნობა - 40 ერთეულით. დაზუსტდა ბიუჯეტის მე-13 და მე-14 მუხლებში ქვეპროგრამის - საქალაქო საავტობუსო ტრანსპორტით, მიწისქვეშა ელექტროტრანსპორტით (მეტრო) საქალაქო რეგულარული სამგზავრო გადაყვანისას უფასო და შეღავათიანი ტარიფით მოსარგებლე პირთა მომსახურება (კოდი 06 02 11) დასახელება და აღწერა.

ბიუჯეტის საოპერაციო სალდო განისაზღვრა 100 662,7 ათასი ლარით.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა დასკვნის პროექტი. ხმათა უმრავლესობით (მომხრე - 4; თავი შეიკავა - 0, წინააღმდეგი - 0) კომისიამ დაადგინა:

- **,,ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2020 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 27 დეკემბრის № 51 - 104 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი (12-03200378-03; 06.02.2020) განხილული იქნეს საკრებულოს სხდომაზე.**

2. **„საქართველოს ფინანსთა სამინისტროს, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტსა და შპს "თბილისის სატრანსპორტო კომპანიას" შორის თბილისის ავტობუსების პროექტის გაგრძელებასთან დაკავშირებით ქვესასესხო ხელშეკრულების გაფორმებაზე ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოდან თანხმობის მიღების თაობაზე, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის განკარგულების პროექტი" (12-0320037141-03; 06.02.2020).**

დ.ჯაიანი - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტის თანახმად, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობას უნდა მიეცეს თანხმობა, საქართველოს ფინანსთა სამინისტროს, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტსა და შპს „თბილისის სატრანსპორტო კომპანიას" შორის „თბილისის ავტობუსების პროექტის" გაგრძელებასთან დაკავშირებით ქვესასესხო (80 000 000 ევროს ოდენობით) ხელშეკრულების გაფორმებაზე. პროექტის ფარგლებში, გათვალისწინებულია ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტისთვის ახალი ავტობუსების შეძენა.

ქვესასესხო ხელშეკრულება საქართველოს ფინანსთა სამინისტროს, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტს და შპს „თბილისის სატრანსპორტო კომპანიას" შორის იდება გამომდინარე იქიდან, რომ:

- საქართველოს და ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკს (EBRD) შორის „თბილისის ავტობუსების პროექტის გაგრძელებასთან" დაკავშირებით

(შემდგომში - პროექტი) 2019 წლის 29 ნოემბერს ხელი მოეწერა სასესხო შეთანხმებას 80 000 000 (ოთხმოცი მილიონი) ევროზე.

- პროექტთან დაკავშირებით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტსა და ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკს (EBRD) შორის 2019 წლის 29 ნოემბერს ხელი მოეწერა პროექტის მხარდაჭერის ხელშეკრულებას.

- პროექტთან დაკავშირებით, შპს „თბილისის სატრანსპორტო კომპანიას" და ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკს (EBRD) შორის 2019 წლის 29 ნოემბერს ხელი მოეწერა საპროექტო ხელშეკრულებას (შემდგომში - პროექტის განხორციელების ხელშეკრულება).

საქართველოს ფინანსთა სამინისტრო სასესხო შეთანხმების საფუძველზე და სასესხო შეთანხმების პირობების გათვალისწინებით, გადასცემს თბილისის მუნიციპალიტეტს სასესხო შეთანხმებით საქართველოსთვის გათვალისწინებულ თანხას 80 000 000 (ოთხმოცი მილიონი) ევროს სესხის სახით სასესხო შეთანხმებით, პროექტის მხარდაჭერის ხელშეკრულებით და პროექტის განხორციელების ხელშეკრულებით გათვალისწინებული ღონისძიებების დასაფინანსებლად.

ამასთან, თბილისის მუნიციპალიტეტის დაკვეთით ფრანგული კომპანია SYSTRA-ს მიერ ჩატარებული კვლევების მიხედვით, თბილისის საავტობუსე პარკის სრულად ჩანაცვლებისა და მომსახურების ხარისხის ევროპულ სტანდარტებთან მიახლოების მიზნით, აუცილებელია დამატებით 200 ერთეული 12 მეტრიანი და 178 ერთეული 18 მეტრიანი ავტობუსების შესყიდვა.

გარდა უშუალოდ ავტობუსების განახლების პროცესისა, ასევე აუცილებელია განხორციელდეს ავტობაზების განახლება/რეაბილიტაცია/მშენებლობა, რათა უზრუნველყოფილ იქნეს ახალი ავტობუსების პარკის სათანადო მოვლა-შენახვა და ექსპლუატაცია.

სწორედ ამ მიზნების მისაღწევად და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის მიერ საქართველოს ფინასთა სამინისტროს მხარდაჭერით წარმოებული მოლაპარაკებების შედეგად, ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკმა (EBRD) გამოუყო თბილისის მუნიციპალიტეტის მერიას 80 მლნ ევროს ოდენობის სესხი, რომლიდანაც 65 მლნ ევროს ტრანში გათვალისწინებულია ახალი ავტობუსების შესაძენად, ხოლო 15 მლნ ევროს ოდენობის ტრანშით უნდა განხორციელდეს არსებული ავტობაზების რეაბილიტაცია და ერთი ახალი ავტობაზის მშენებლობა.

შ.ოგბაიძე - ახალი, თანამედროვე სტანდარტის ავტობუსების შესყიდვა დედაქალაქის მოსახლეობის გადაადგილებას გახდის უფრო კომფორტულს. საზოგადოებრივი ტრანსპორტი იქნება უფრო გამართული და უსაფრთხო.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა დასკვნის პროექტი. ხმათა უმრავლესობით (მომხრე - 4; თავი შეიკავა - 0, წინააღმდეგი - 0) კომისიამ დაადგინა:

- **,,საქართველოს ფინანსთა სამინისტროს, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტსა და შპს „თბილისის სატრანსპორტო კომპანიას" შორის „თბილისის ავტობუსების პროექტის" გაგრძელებასთან დაკავშირებით ქვესასესხო ხელშეკრულების გაფორმებაზე თანხმობის მიცემის თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი (12-0320037141-03; 06.02.2020) განხილულ იქნეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე.**

3. **„ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის -ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტის განვითარების სააგენტოს საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 125-ე მუხლის მე-8 და მე-12-მე-14 ნაწილებით, 125 მუხლით, 130-ე მუხლის მე-4 ნაწილის „ა" ქვეპუნქტით, 135-ე-135 მუხლებით გათვალისწინებული ადმინისტრაციული სამართალდარღვევებისათვის შეფარდებული ადმინისტრაციული სახდელის (ჯარიმის) ან/და საურავის დარიცხვის შესახებ დადგენილების ზემდგომ ორგანოში (თანამდებობის პირთან) გასაჩივრებისას, საჩივრის განმხილველ და გადაწყვეტილების მიმღებ პირად განსაზღვრის შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი (12-03200421-03; 11.02.2020).**

ვ.აბულაძე - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის №52-1 დადგენილებით 2020 წლის პირველი მარტიდან ფუძნდება ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირი - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტის განვითარების სააგენტო, რომელიც წარმოადგენს თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ტრანსპორტის საქალაქო სამსახურის უფლებამონაცვლეს. ტრანსპორტის საქალაქო სამსახურის გაუქმებამ და სააგენტოს შექმნამ გამოიწვია შესაბამისი ცვლილებების შეტანის აუცილებლობა მოქმედ ნორმატიულ აქტებში. უფრო კონკრეტულად, წარმოდგენილი პროექტის საფუძველზე, ძალადაკარგულად ცხადდება „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ტრანსპორტის საქალაქო სამსახურის საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 125-ე მუხლის მე-8 და მე-12-მე-14 ნაწილებით, 125^2 მუხლით, 130-ე მუხლის მე-4 ნაწილის "ა" ქვეპუნქტით, 135-ე-135^4 მუხლებით გათვალისწინებული ადმინისტრაციული სამართალდარღვევებისათვის შეფარდებული ადმინისტრაციული სახდელის (ჯარიმის) ან/და საურავის დარიცხვის შესახებ დადგენილების ზემდგომ ორგანოში (თანამდებობის პირთან) გასაჩივრებისას, საჩივრის განმხილველ და გადაწყვეტილების მიმღებ სამსახურად განსაზღვრის შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 25 ნოემბრის №15-30 დადგენილება. შესაბამისად საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 125-ე მუხლის მე-8 და მე-12-მე-14 ნაწილებით, 125^2 მუხლით, 130-ე მუხლის მე-4 ნაწილის „ა" ქვეპუნქტით, 135-ე-135^5 მუხლებით გათვალისწინებული ადმინისტრაციული სამართალდარღვევებისათვის შეფარდებული ადმინისტრაციული სახდელის (ჯარიმის) ან/და საურავის დარიცხვის შესახებ დადგენილების ზემდგომ ორგანოში (თანამდებობის პირთან) გასაჩივრებისას, საჩივრის განმხილველ და

გადაწყვეტილების მიმღებ პირად განისაზღვრება ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირი - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტის განვითარების სააგენტო. სააგენტოს უფროსი ან მის მიერ ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით განსაზღვრული სააგენტოს უფროსის მოადგილე ან სააგენტოს სამსახურის უფროსი, დადგენილებით განსაზღვრული საჩივრების საქართველოს ნორმატიული აქტების შესაბამისად განხილვის შედეგად საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის საფუძველზე, გადაწყვეტილებას იღებს - დადგენილებით.

ამასთან, საქართველოს პარლამენტის მიერ 2019 წლის 26 ნოემბრის №5295 კანონით საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსში შეტანილი ცვლილებით, კოდექსს დაემატა 135^5 მუხლი, რომლის მიხედვით საქართველოს დედაქალაქის ადმინისტრაციულ საზღვრებში მდებარე კულტურული მემკვიდრეობის ობიექტების დათვალიერების მიზნით ტურისტული საქმიანობის განხორციელება დედაქალაქის თვითმმართველობის წარმომადგენლობითი ორგანოს მიერ დამტკიცებული მარშრუტის დარღვევით ან სპეციალური რეგულარული გადაყვანის (საქართველოს დედაქალაქის ადმინისტრაციულ საზღვრებში დასაქმებული პირების, მოსწავლეების, სტუდენტების რეგულარული გადაყვანის) განხორციელება დედაქალაქის თვითმმართველობის წარმომადგენლობითი ორგანოს მიერ დამტკიცებული მარშრუტის დარღვევით, გამოიწვევს დაჯარიმებას ორივე შემთხვევაში 100-100 ლარით, ხოლო კოდექსის 209^3 მუხლის მე-4 ნაწილის შესაბამისად, 135^5 მუხლით გათვალისწინებული ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ჩადენისათვის შეფარდებული ადმინისტრაციული სახდელის (ჯარიმის) ზემდგომ ორგანოში (თანამდებობის პირთან) გასაჩივრებისას, საჩივარს იხილავს და გადაწყვეტილებას იღებს ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლობითი ორგანოს მიერ განსაზღვრული მერიის სტრუქტურული ერთეული ან ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლობითი ორგანოს მიერ უფლებამოსილი პირი. ამ შეთხვევაში ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირი - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტის განვითარების სააგენტო.

ამავე დროს, წარმოდგენილი პროექტით, ამ დადგენილების ამოქმედებამდე „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ტრანსპორტის საქალაქო სამსახურის საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 125-ე მუხლის მე-8 და მე-12-მე-14 ნაწილებით, 125^2 მუხლით, 130-ე მუხლის მე-4 ნაწილის „ა" ქვეპუნქტით, 135-ე-135^4 მუხლებით გათვალისწინებული ადმინისტრაციული სამართალდარღვევებისათვის შეფარდებული ადმინისტრაციული სახდელის (ჯარიმის) ან/და საურავის დარიცხვის შესახებ დადგენილების ზემდგომ ორგანოში (თანამდებობის პირთან) გასაჩივრებისას, საჩივრის განმხილველ და გადაწყვეტილების მიმღებ სამსახურად განსაზღვრის შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 25 ნოემბრის №15-30 დადგენილების შესაბამისად ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ტრანსპორტის საქალაქო სამსახურში გასაჩივრებული საქმეების განხილვა და შესაბამისი გადაწყვეტილებების მიღება ევალება ქალაქ

თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიულ პირს - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტის განვითარების სააგენტოს.

დადგენილების ამოქმედებისთვის დამატებითი საბიუჯეტო სახსრები საჭირო არ არის.

დადგენილება ამოქმედდება 2020 წლის პირველი მარტიდან.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა დასკვნის პროექტი. ხმათა უმრავლესობით (მომხრე - 4; თავი შეიკავა - 0, წინააღმდეგი - 0) კომისიამ დაადგინა:

- **„ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტის განვითარების სააგენტოს საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 125-ე მუხლის მე-8 და მე-12-მე-14 ნაწილებით, 125 მუხლით, 130-ე მუხლის მე-4 ნაწილის „ა" ქვეპუნქტით, 135-ე-135[5] მუხლებით გათვალისწინებული ადმინისტრაციული სამართალდარღვევებისათვის შეფარდებული ადმინისტრაციული სახდელის (ჯარიმის) ან/და საურავის დარიცხვის შესახებ დადგენილების ზემდგომ ორგანოში (თანამდებობის პირთან) გასაჩივრებისას, საჩივრის განმხილველ და გადაწყვეტილების მიმღებ პირად განსაზღვრის შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი (12-03200421-03; 11.02.2020) განხილული იქნეს საკრებულოს სხდომაზე.**

4. **„საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 125-ე მუხლის მე-8 ნაწილით და 125 მუხლით გათვალისწინებულ შემთხვევებში საჯარიმო ქვითრის ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის ფორმის, მისი შევსების, ჩაბარების, აღრიცხვა-ანგარიშგების, გასაჩივრებისა და ზემდგომ ორგანოში წარდგენის წესის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 30 მარტის №16-53 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი (12-03200421-03; 11.02.2020).**

ვ.აბულაძე - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 30 მარტის №16-53 დადგენილება ითვალისწინებს საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 125-ე მუხლის მე-8 ნაწილით და 125[2] მუხლით გათვალისწინებულ სამართალდარღვევებზე საჯარიმო ქვითრის ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის შედგენის უფლებამოსილების შპს „თბილისის სატრანსპორტო კომპანიისთვის" (ს/კ 202886788) მინიჭებას და საჯარიმო ქვითრის ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის ფორმის, მისი შევსების, ჩაბარების, აღრიცხვა-ანგარიშგების, გასაჩივრებისა და ზემდგომ ორგანოში წარდგენის წესის დამტკიცებას.

2019 წლის 29 მაისს საქართველოს პარლამენტმა №4609-IIს კანონით ცვლილებები შეიტანა საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსში, რომლის 125-ე მუხლს დაემატა შემდეგი შინაარსის მე-12, მე- 13 და მე-14 ნაწილები:

<u>„12. სამარშრუტო სატრანსპორტო საშუალების მოძრაობისათვის განკუთვნილ სპეციალურ ზოლში („BUS LANE") სამარშრუტო სატრანსპორტო საშუალების გარდა სხვა</u>

სახის სატრანსპორტო საშუალების მოძრაობა, გაჩერება ან დგომა – გამოიწვევს დაჯარიმებას 100 ლარის ოდენობით.

13. ველოსიპედის ბილიკზე ან ველოსიპედის მოძრაობის ზოლზე ველოსიპედის გარდა სხვა სახის სატრანსპორტო საშუალების (გარდა საქართველოს კანონმდებლობით დაშვებული გამონაკლისებისა) მოძრაობა, გაჩერება ან დგომა – გამოიწვევს დაჯარიმებას 50 ლარის ოდენობით.

14. წინასწარი შეცნობით სატრანსპორტო საშუალების გზაზე გაჩერება ან დგომა სატრანსპორტო საშუალების რეგისტრაციის ნომრის (სახელმწიფო სანომრე ნიშნის ან ნიშნების), შიდა ტრანზიტის, ტრანზიტული ნომრის ან „TEST" ნომრის გარეშე – გამოიწვევს დაჯარიმებას 100 ლარის ოდენობით".

ამასთან, საქართველოს პარლამენტის 2019 წლის 4 მაისის №2261-IIს კანონით, საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსს დაემატა 135[3] მუხლის მე-2 ნაწილი, რომლის მიხედვით, დედაქალაქის ადმინისტრაციულ საზღვრებში დედაქალაქის თვითმმართველობის მიერ განსაზღვრულ გზებზე დადგენილი ავტობუსების (M_2 და M_3 კატეგორიები) გაჩერების ადგილებზე სხვა სახის სატრანსპორტო საშუალების გაჩერება ან დგომა გამოიწვევს დაჯარიმებას 50 ლარის ოდენობით. ამავე დროს, ამავე კოდექსის 209[3] მუხლის პირველი ნაწილის მიხედვით ამ კოდექსის 125-ე მუხლის მე-8 და მე-12–მე-14 ნაწილებით, 135-ე–135[4] მუხლებით გათვალისწინებულ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა საქმეებს განიხილავს ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლობითი ორგანოს მიერ განსაზღვრული მერიის სტრუქტურული ერთეული ან ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლობითი ორგანოს მიერ უფლებამოსილი ფიზიკური ან იურიდიული პირი, ხოლო 242-ე მუხლის მე-5 ნაწილის მიხედვით კოდექსის 125-ე მუხლის მე-8 და მე-12–მე-14 ნაწილებით, 135-ე–135[4] მუხლებით გათვალისწინებული ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ჩადენისას ჯარიმა ადგილზე არ გადაიხდევინება და სამართალდამრღვევს ადგილზე გამოეწერება საჯარიმო ქვითარი – ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმი, რომელიც ივსება ბურთულიანი კალმით ან/და ელექტრონული ფორმით.

ამასთან, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 24 იანვრის №52-1 დადგენილებით, 2020 წლის პირველი მარტიდან, ფუძნდება ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირი – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტის განვითარების სააგენტო, რომელიც წარმოადგენს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ტრანსპორტის საქალაქო სამსახურის უფლებამონაცვლეს.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, დღის წესრიგში დადგა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 30 მარტის №16-53 დადგენილებაში ცვლილებების შეტანის საჭიროება. წარმოდგენილი პროექტი ითვალისწინებს შპს „თბილისის სატრანსპორტო კომპანიისთვის" საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 125-ე მუხლის მე-8, მე-12-მე-14 ნაწილებით, 125[2]

მუხლით და 135[3] მუხლის მე-2 ნაწილით გათვალისწინებულ სამართალდარღვევებზე საჯარიმო ქვითრის ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის შევსების უფლებამოსილების მინიჭებას და კოდექსის 125-ე მუხლის მე-8, მე-12-მე-14 ნაწილებით, 125[2] მუხლით და 135[3] მუხლის მე-2 ნაწილით გათვალისწინებულ შემთხვევებში საჯარიმო ქვითრის ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის ფორმის, მისი შევსების, ჩაბარების, აღრიცხვა-ანგარიშგების, გასაჩივრებისა და ზემდგომ ორგანოში წარდგენის წესის დამტკიცებას. დადგენილების პროექტით გათვალისწინებული მკაცრი აღრიცხვის (საჯარიმო ქვითრის ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის) ფორმის ნიმუში, „მკაცრი აღრიცხვის ფორმების შესახებ" საქართველოს კანონის მე-4 მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, შეთანხმებულია საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროსთან. დადგენილების პროექტი შეთანხმებულია შპს „თბილისის სატრანსპორტო კომპანიასთან".

შ.ოგბაიძე - დადგენილების პროექტის შესწავლის პროცესში, დაფიქსირდა ტექნიკური სახის ხარვეზი. კერძოდ, დადგენილების მე-3[1] მუხლის პუნქტების ნუმერაცია არის არეული. შესაბამისად, კომისიას მიზანშეწონილად მიაჩნია გასწორდეს ტექნიკური ხასიათის ხარვეზი პროექტის მე-3[1] მუხლის პუნქტებში.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა დასკვნის პროექტი. ხმათა უმრავლესობით (მომხრე - 4; თავი შეიკავა - 0, წინააღმდეგი - 0) კომისიამ დაადგინა:

- **„საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 125-ე მუხლის მე-8 ნაწილით და 125 მუხლით გათვალისწინებულ შემთხვევებში საჯარიმო ქვითრის ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის ფორმის, მისი შევსების, ჩაბარების, აღრიცხვა-ანგარიშგების, გასაჩივრებისა და ზემდგომ ორგანოში წარდგენის წესის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 30 მარტის №16-53 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი მითითებული შენიშვნის გათვალისწინებით (12-03200421-03; 11.02.2020) განხილული იქნეს საკრებულოს სხდომაზე.**

5. **საქართველოს ადმინისტრაციული სამართალდარღვევათა კოდექსის 130-ე მუხლის მე-4 ნაწილის „ა" ქვეპუნქტით გათვალისწინებული სამართალდარღვევისას (ადგილობრივი საქალაქო რეგულარული სამგზავრო გადაყვანის M[3] კატეგორიის ავტობუსით მგზავრების უბილეთო მგზავრობა, აგრეთვე ათიდან თექვსმეტი წლის ასაკამდე ბავშვების უბილეთოდ წაყვანა) საჯარიმო ქვითრის ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის ფორმის, მისი შედგენის, ჩაბარების, აღრიცხვა-ანგარიშგების, გასაჩივრებისა და ზემდგომ ორგანოში გადაგზავნის წესის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 22 დეკემბრის №19-70 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი (12-03200421-03; 11.02.2020).**

ვ.აბულაძე - აღნიშნული პროექტის შემუშავების აუცილებლობა დღის წესრიგში დადგა ტრანსპორტის განვითარების სააგენტოს შექმნის ფაქტიდან გამომდინარე, რომელიც

წარმოადგენს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ტრანსპორტის საქალაქო სამსახურის უფლებამონაცვლეს.

პროექტის თანახმად დადგენილების პრეამბულა ყალიბდება ახალი რედაქციით. ასევე, დადგენილების მე-2 პუნქტით დამტკიცებული საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 130-ე მუხლის მე-4 ნაწილის „ა" ქვეპუნქტით გათვალისწინებული სამართალდარღვევისას (ადგილობრივი საქალაქო რეგულარული სამგზავრო გადაყვანის M3 კატეგორიის ავტობუსით უბილეთო მგზავრობა) საჯარიმო ქვითრის ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის ფორმის, მისი შედგენის, ჩაბარების, აღრიცხვა-ანგარიშგების, გასაჩივრებისა და ზემდგომ ორგანოში გადაგზავნის წესის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტი ჩამოყალიბდება ახალი რედაქციით, კერძოდ:

„2. ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული საჩივარი, სამართალსუბიექტთან გასაჩივრების შემთხვევაში, სამართალსუბიექტის მიერ 3 დღის ვადაში საქმესთან ერთად განსახილველად გადაეგზავნება ზემდგომ ორგანოს (თანამდებობის პირს) - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირს - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტის განვითარების სააგენტოს".

დადგენილების ამოქმედების ვადად განისაზღვრა 2020 წლის პირველი მარტი.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა დასკვნის პროექტი. ხმათა უმრავლესობით (მომხრე - 4; თავი შეიკავა - 0, წინააღმდეგი - 0) კომისიამ დაადგინა:

- „საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 130-ე მუხლის მე-4 ნაწილის „ა" ქვეპუნქტით გათვალისწინებული სამართალდარღვევისას (ადგილობრივი საქალაქო რეგულარული სამგზავრო გადაყვანის M3 კატეგორიის ავტობუსით მგზავრების უბილეთო მგზავრობა, აგრეთვე ათიდან თექვსმეტი წლის ასაკამდე ბავშვების უბილეთოდ წაყვანა) საჯარიმო ქვითრის ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის ფორმის, მისი შედგენის, ჩაბარების, აღრიცხვა-ანგარიშგების, გასაჩივრებისა და ზემდგომ ორგანოში გადაგზავნის წესის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 22 დეკემბრის №19-70 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი (12-03200421-03, 11.02.2020) განხილული იქნეს საკრებულოს სხდომაზე.

6. „საქართველოს დედაქალაქის - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში ეკონომიკის რეგულირებად სფეროებად განსაზღვრული ავტობუსებით (M3 კატეგორია) და მიწისქვეშა ელექტროტრანსპორტით (მეტრო) ადგილობრივი საქალაქო რეგულარული სამგზავრო გადაყვანისას მოქალაქეთა ცალკეული კატეგორიების შეღავათიანი მგზავრობის შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 27 მარტის №6-25 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი (12-03200421-03; 11.02.2020).

ვ.აბულაძე - წარმოდგენილი პროექტით, დადგენილების <u>მე-20 და 21-ე მუხლები</u> ყალიბდება შემდეგი რედაქციით:

„მუხლი 20“

შპს „თბილისის სატრანსპორტო კომპანიამ", ყოველი თვის დამთავრებიდან არაუგვიანეს მომდევნო თვის 15 რიცხვისა, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიულ პირს - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტის განვითარების სააგენტოს წარუდგინოს ინფორმაცია, შემდგომში ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო საქალაქო სამსახურისთვის ასანაზღაურებლად გადაგზავნის მიზნით, „საქართველოს დედაქალაქის – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში ეკონომიკის რეგულირებად სფეროებად განსაზღვრული ავტობუსებით (M3 კატეგორია) და მიწისქვეშა ელექტროტრანსპორტით (მეტრო) ადგილობრივი საქალაქო რეგულარული სამგზავრო გადაყვანისას, საბაგირო გზით„რიყე-ნარიყალა“ და საბაგირო გზით „ჭავჭავაძის გამზირი-კუს ტბა“ მგზავრთა გადაყვანისას მგზავრობის ტარიფების, აგრეთვე ავტობუსებით (M3 კატეგორია) და მიწისქვეშა ელექტროტრანსპორტით (მეტრო) ადგილობრივი საქალაქო რეგულარული სამგზავრო გადაყვანისას ფასდაკლების სისტემის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 30 დეკემბრის №20-81 დადგენილების მე-2 მუხლით გათვალისწინებული კატეგორიების მიხედვით უფასო და შეღავათიანი მგზავრობის ტარიფით და მე-3 მუხლით გათვალისწინებული ფასდაკლების სისტემით მოსარგებლე ფაქტობრივად გადაყვანილ მგზავრთა რაოდენობის შესახებ.

„მუხლი 21“

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო საქალაქო სამსახურმა, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის-ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტის განვითარების სააგენტოს მიერ ამ დადგენილების მე-20 მუხლის შესაბამისად წარდგენილი ინფორმაციის საფუძველზე, უზრუნველყოს შპს „თბილისის სატრანსპორტო კომპანიისათვის“ უფასო და შეღავათიანი მგზავრობის ტარიფით მოსარგებლე თითოეულ მგზავრზე მგზავრობის ტარიფის სრული ოდენობის (მიწისქვეშა ელექტროტრანსპორტით (მეტრო) და M3 კატეგორიის ავტობუსებით ადგილობრივი საქალაქო რეგულარული სამგზავრო გადაყვანისას - 0,5 ლარი) შესავსებად თანხების ანაზღაურება.“.

დადგენილების ამოქმედების ვადად განისაზღვრა 2020 წლის პირველი მარტი.

განხორციელებული ცვლილებები ნორმატიულ აქტში გამოწვეულია ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 24 იანვრის №52-1 დადგენილებით, რომლის თანახმადაც 2020 წლის პირველი მარტიდან ფუძნდება სსიპ ,,ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტის განვითარების სააგენტო“, რომელიც წარმოადგენს

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ტრანსპორტის საქალაქო სამსახურის უფლებამონაცვლეს.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა დასკვნის პროექტი. ხმათა უმრავლესობით (მომხრე - 4; თავი შეიკავა - 0, წინააღმდეგი - 0) კომისიამ დაადგინა:

- **„საქართველოს დედაქალაქის – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში ეკონომიკის რეგულირებად სფეროებად განსაზღვრული ავტობუსებით (M3 კატეგორია) და მიწისქვეშა ელექტროტრანსპორტით (მეტრო) ადგილობრივი საქალაქო რეგულარული სამგზავრო გადაყვანისას მოქალაქეთა ცალკეული კატეგორიების შეღავათიანი მგზავრობის შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 27 მარტის №6-25 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი (12-03200421-03, 11.02.2020) განხილული იქნეს საკრებულოს სხდომაზე.**

7. **„ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში M2 კატეგორიის ავტობუსებით ადგილობრივი საქალაქო რეგულარული სამგზავრო გადაყვანისას შეღავათით მოსარგებლე მოქალაქეთა მგზავრობის ფასის/დადგენილი ტარიფის ანაზღაურების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი (12-03200421-03; 11.02.2020).**

ვ.აბულაძე - წარმოდგენილი პროექტის მიხედვით, ძალადაკარგულად ცხადდება „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში M2 კატეგორიის ავტობუსებით ადგილობრივი საქალაქო რეგულარული სამგზავრო გადაყვანისას შეღავათით მოსარგებლე მოქალაქეთა მგზავრობის ფასის ანაზღაურების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 25 იანვრის №36-3 დადგენილება და შესაბამისად, მტკიცდება „ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში M2 კატეგორიის ავტობუსებით ადგილობრივი საქალაქო რეგულარული სამგზავრო გადაყვანისას შეღავათით მოსარგებლე მოქალაქეთა მგზავრობის ფასის/დადგენილი ტარიფის ანაზღაურების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ახალი დადგენილება.

ქალაქ თბილისის 2020 წლის ბიუჯეტით განსაზღვრულია ქვეპროგრამა „საქალაქო საავტობუსო ტრანსპორტით, მიწისქვეშა ელექტროტრანსპორტით (მეტრო) საქალაქო რეგულარული სამგზავრო გადაყვანისას უფასო და შეღავათიანი ტარიფით მოსარგებლე პირთა მომსახურება" (კოდი: 06 02 11). მოცემული ქვეპროგრამის მიხედვით: M2 კატეგორიის იმ ავტობუსებით, სადაც მგზავრობის ფასის გადახდა ხორციელდება ელექტრონული აღმრიცხველი საშუალებების გამოყენებით, ადგილობრივი საქალაქო რეგულარული სამგზავრო გადაყვანისას, ერთჯერადი მგზავრობის ფასის/დადგენილი ტარიფის გათვალისწინებით, შეღავათიანი (ერთი დღის განმავლობაში ჯამში არაუმეტეს 4 მგზავრობის უფლებით), 50%-იანი ფასდაკლებით მგზავრობის შემთხვევაში ფაქტიურად გადაყვანილ თითოეულ მგზავრზე მგზავრობის ფასის/დადგენილი ტარიფის

სრული ოდენობის შესავსებად უნდა განხორციელდეს თანხების ანაზღაურება (ნებართვების მფლობელთა მიერ ერთი და იმავე დღის განმავლობაში მე-2 და ყოველი მომდევნო მგზავრობისას განსაზღვრული 0,65 ლარიანი მგზავრობის ფასის შემთხვევაში შეღავათიანი მგზავრობის ფასით მოსარგებლე ფაქტიურად გადაყვანილ თითოეულ მგზავრზე 0,33 ლარის ანაზღაურება) თბილისში რეგისტრირებული შემდეგი კატეგორიების მოქალაქეებისათვის: ა) მეორე მსოფლიო ომის ვეტერანები და მათთან გათანაბრებული პირები; ბ) საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის, თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის საბრძოლო მოქმედებების ვეტერანები და მათთან გათანაბრებული პირები, მათ შორის სამოქალაქო ავიაციის მფრინავები, რომლებიც ასრულებდნენ სპეციალურ რეისებს საომარი მოქმედების ზონაში; გ)სხვა სახელმწიფოთა ტერიტორიებზე საბრძოლო მოქმედებების ვეტერანები და მათთან გათანაბრებული პირები; დ) სამხედრო ძალების ვეტერანები; ე)მეორე მსოფლიო ომში, საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის, თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის, სხვა სახელმწიფოთა ტერიტორიებზე მიმდინარე საბრძოლო მოქმედებების დროს დაღუპულთა (გარდაცვლილთა), მათ შორის, ომის შემდგომ გარდაცვლილთა (უგზო-უკვლოდ დაკარგულთა) ოჯახების წევრები; ვ) „სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში" რეგისტრირებულ 70000 და დაბალი სარეიტინგო ქულის მქონე თბილისის ტერიტორიაზე მცხოვრები მოქალაქეები."

როგორც მოგეხსენებათ აღნიშნული დადგენილების დამტკიცება ხდება ყოველწლიურად და დადგენილების პროექტი არ ითვალისწინებს რაიმე სახის შინაარსობრივ და ძირეულ ცვლილებებს.

პროექტის ამოქმედებისთვის საჭირო საბიუჯეტო სახსრები გათვალისწინებულია ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2020 წლის ბიუჯეტში.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა დასკვნის პროექტი. ხმათა უმრავლესობით (მომხრე - 4; თავი შეიკავა - 0, წინააღმდეგი - 0) კომისიამ დაადგინა:

- **„ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში M2 კატეგორიის ავტობუსებით ადგილობრივი საქალაქო რეგულარული სამგზავრო გადაყვანისას შეღავათით მოსარგებლე მოქალაქეთა მგზავრობის ფასის/დადგენილი ტარიფის ანაზღაურების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი (12-03200421-03; 11.02.2020) განხილული იქნეს საკრებულოს სხდომაზე.**

8. **„ქალაქ თბილისის ადმინისტრაციულ საზღვრებში სატრანსპორტო საშუალებების პარკირების რეგულირების წესისა და პარკირების საფასურის დადგენის შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 27 დეკემბრის №33-99 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი (12-03200421-03; 11.02.2020).**

ვ.აბულაძე - ნორმატიულ აქტში პროექტით წარმოდგენილი ცვლილებები გამოწვეულია კვლავ იმ ფაქტიდან გამომდინარე, რომ 2020 წლის 1 მარტიდან ფუძნდება ტრანსპორტის განვითარების სააგენტო.

დადგენილების პროექტში ასახული ცვლილებების თანახმად, ტერმინი ,,სამსახური" ჩაანაცვლა ტერმინმა ,,სააგენტო". ასევე, ანალოგიური ცვლილება შედის ,,ქალაქ თბილისის ადმინისტრაციულ საზღვრებში სატრანსპორტო საშუალებების პარკირების რეგულირების წესის" დანართი N1-ში, შშმ პირთა პარკირების ადგილისათვის განსაზღვრული საცნობი ნიშნის ფორმაში. ხოლო, ამავე წესის მე-14 მუხლის პირველი პუნქტი ყალიბდება შემდეგი რედაქციით:

„1. ამ წესის დაცვის კონტროლს და ადმინისტრირებას ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობა ახორციელებს შესაბამისი საქალაქო სამსახურ(ებ)ის/საჯარო სამართლის იურიდიული პირ(ებ)ის მეშვეობით".

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა დასკვნის პროექტი. ხმათა უმრავლესობით (მომხრე - 4; თავი შეიკავა - 0, წინააღმდეგი - 0) კომისიამ დაადგინა:

- **„ქალაქ თბილისის ადმინისტრაციულ საზღვრებში სატრანსპორტო საშუალებების პარკირების რეგულირების წესისა და პარკირების საფასურის დადგენის შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 27 დეკემბრის №33-99 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი (12-03200421-03; 11.02.2020) განხილული იქნეს საკრებულოს სხდომაზე.**

9. **„საქართველოს დედაქალაქის ადმინისტრაციულ საზღვრებში ადგილობრივი საქალაქო რეგულარული სამგზავრო გადაყვანის მიზნით ავტობუსების (M_2 კატეგორია) მოძრაობის მარშრუტების დამტკიცების თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 12 დეკემბრის №17-47 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი (16-03200446-03; 13.02.2020).**

ვ.აბულაძე - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 12 დეკემბრის №17-47 დადგენილებით დამტკიცებულ შენიშვნაში ცვლილების შეტანის აუცილებლობა გამოწვეულია, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირი - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტის განვითარების სააგენტოს შექმნიდან გამომდინარე.

ამასთან, წარმოდგენილი პროექტის მიხედვით, კორექტივები შედის M_2 კატეგორიის ავტობუსების მარშრუტების მინიმალურ რაოდენობაში. აღნიშნული გამოწვეულია იმ სასიკეთო ცვლილებებით, რაც დღეს დედაქალაქში მიმდინარეობს. კერძოდ, დედაქალაქის მუნიციპალიტეტის მიერ შესყიდული ახალი M_3 კატეგორიის ავტობუსებით ჩანაცვლდა

„ბოგდანის“ მარკის მოძველებული ავტობუსები, 13 მარშრუტზე ავტობუსები ჩანაცვლდა „MAN“-ის 12 მეტრიანი ახალი ავტობუსებით, 8 მარშრუტზე - „MAN“-ის 10 მეტრიანი ახალი ავტობუსებით, 47 მარშრუტზე კი - „ISUZU“-ს მარკის ახალი ავტობუსებით. ამავე დროს, 11 მარშრუტზე საშუალო ტევადობის ავტობუსები ჩანაცვლდა დიდი ტევადობის ავტობუსებით, ხოლო 25 სხვადასხვა მარშრუტს დაემატა შესაბამისი კატეგორიის მოძრავი შემადგენლობა, რითაც შემცირდა ავტობუსების მოძრაობის ინტერვალები და გაიზარდა მგზავრთა გადაყვანა. ყოველივე ზემოაღნიშნულმა გამოიწვია M_3 კატეგორიის ავტობუსებთან გარკვეულწილად თანხვედრაში მყოფი M_2 კატეგორიის ავტობუსების მგზავრთა ნაკადის გადადინება M_3 კატეგორიის ავტობუსებში და ამ ფაქტობრივმა მდგომარეობამ, ასევე დედაქალაქში მიმდინარე ინფრასტრუქტრულმა სამუშაოებმა გამოიწვია M_2 კატეგორიის ავტობუსების მინიმალური რაოდენობის კორექტირება და არსებული რეალური მოთხოვნის შესაბამისი რაოდენობის განსაზღვრა, რაც თანხვედრაშია ფრანგულ კომპანია **„SYSTRA“-ს** მიერ ჩატარებული კვლევების შედეგებიდან გამომდინარე საზოგადოებრივი ტრანსპორტის სამარშრუტო სქემების დაგეგმარების მიმართულებასთან.

დადგენილების ამოქმედებისთვის საბიუჯეტო სახსრები საჭირო არ არის.

დადგენილება ამოქმედდება 2020 წლის 1 მარტიდან.

შ.ოგბაიძე - დადგენილებაში მისათითებელია თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის განკარგულების მიღების თარიღი და ნომერი. შესაბამისად, დადგენილების პირველი პუნქტი უნდა ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„1. დამტკიცდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2020 წლის 12 თებერვლის №20.161.203 განკარგულების პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტით დადგენილი საქართველოს დედაქალაქის ადმინისტრაციულ საზღვრებში ადგილობრივი საქალაქო რეგულარული სამგზავრო გადაყვანის მიზნით ავტობუსების (M_2 კატეგორია) მოძრაობის მარშრუტები, დანართის შესაბამისად“.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა დასკვნის პროექტი. ხმათა უმრავლესობით (მომხრე - 4; თავი შეიკავა - 0, წინააღმდეგი - 0) კომისიამ დაადგინა:

- **„საქართველოს დედაქალაქის ადმინისტრაციულ საზღვრებში ადგილობრივი საქალაქო რეგულარული სამგზავრო გადაყვანის მიზნით ავტობუსების (M_2 კატეგორია) მოძრაობის მარშრუტების დამტკიცების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 12 დეკემბრის №17-47 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი (16-03200446-03; 13.02.2020) მითითებული შენიშვნის გათვალისწინებით განხილული იქნეს საკრებულოს სხდომაზე.**

10. **„საქართველოს დედაქალაქის ადმინისტრაციულ საზღვრებში ადგილობრივი საქალაქო რეგულარული სამგზავრო გადაყვანის მიზნით ავტობუსების (M_3 კატეგორია)**

მოძრაობის მარშრუტების დამტკიცების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 12 დეკემბრის №17-48 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი (16-03200446-03; 13.02.2020).

ვ.აბულაძე - დადგენილების დანართის შენიშვნაში ცვლილების შეტანის აუცილებლობა გამოიწვია, იმ ფაქტმა, რომ 2020 წლის პირველი მარტიდან, ფუძნდება ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირი – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტის განვითარების სააგენტო, რომელიც წარმოადგენს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ტრანსპორტის საქალაქო სამსახურის უფლებამონაცვლეს. შესაბამისად დანართის შენიშვნაში ნაცვლად ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ტრანსპორტის საქალაქო სამსახურის უფროსისა, მიეთითება ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტის განვითარების სააგენტოს უფროსი.

დადგენილება ამოქმედდება 2020 წლის პირველი მარტიდან.

შ.ოგბაიძე - აქვე აღსანიშნავია, რომ დადგენილების პროექტში მისათითებელია თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის განკარგულების მიღების თარიღი და ნომერი. შესაბამისად, დადგენილების პირველი პუნქტი უნდა ჩამოყალიბდეს შემდეგი ფორმით:

„1. დამტკიცდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2020 წლის 12 თებერვლის №20.161.203 განკარგულების პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტით დადგენილი საქართველოს დედაქალაქის ადმინისტრაციულ საზღვრებში ადგილობრივი საქალაქო რეგულარული სამგზავრო გადაყვანის მიზნით ავტობუსების (M_3 კატეგორია) მოძრაობის მარშრუტები, დანართის შესაბამისად“.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა დასკვნის პროექტი. ხმათა უმრავლესობით (მომხრე - 4; თავი შეიკავა - 0, წინააღმდეგი - 0) კომისიამ დაადგინა:

- **თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სატრანსპორტო საკითხთა კომისიამ მიმდინარე წლის 18 თებერვლის სხდომაზე იმსჯელა და დამსწრე წევრთა ხმების უმრავლესობით მიზანშეწონილად მიიჩნია „საქართველოს დედაქალაქის ადმინისტრაციულ საზღვრებში ადგილობრივი საქალაქო რეგულარული სამგზავრო გადაყვანის მიზნით ავტობუსების (M_3 კატეგორია) მოძრაობის მარშრუტების დამტკიცების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 12 დეკემბრის №17-48 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი (16-03200446-03; 13.02.2020) მითითებული შენიშვნის გათვალისწინებით განხილული იქნეს საკრებულოს სხდომაზე.**

11. **„ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტის განვითარების სააგენტოს დაფუძნებისა და დებულების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 24 იანვრის №52-1 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი (16-03200446-03; 13.02.2020).**

ვ.აბულაძე - წარმოდგენილი პროექტის მიხედვით, ცვლილება შედის „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტის განვითარების სააგენტოს დაფუძნებისა და დებულების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 24 იანვრის №52-1 დადგენილებაში. კერძოდ:

ა) დებულების მე-8 მუხლის პირველი პუნქტიდან ამოღებულ იქნა „ი" და „ს" ქვეპუნქტები;

ბ) დებულების მე-8 მუხლის, მე-8 პუნქტს დაემატა შემდეგი შინაარსის „ო1" და „ო2" ქვეპუნქტები:

„ო1) ადგილობრივი საქალაქო რეგულარული სამგზავრო გადაყვანის ნებართვის ფასის გადახდის მდგომარეობის აღრიცხვა და მისი გადახდის უზრუნველსაყოფად მოქმედი სამართლებრივი აქტებით გათვალისწინებული ღონისძიებების განხორციელება;

ო2)საქართველოს დედაქალაქის ადმინისტრაციულ საზღვრებში მსუბუქი ავტომობილით-ტაქსით (M_1 კატეგორია) გადაყვანაზე დადგენილი წესის შესაბამისად ნებართვის გაცემა და გაუქმება ელექტრონული მისამართის: www.taxi.tbilisi.gov.ge მეშვეობით";

გ) დებულების მე-8 მუხლის მე-8 პუნქტის „პ" ქვეპუნქტი ჩამოყალიბდა შემდეგი სახით:

„პ) საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსით დადგენილი წესით საჯარო ინფორმაციის გაცემის უზრუნველყოფა;";

დ) დებულების მე-8 მუხლის მე-10 პუნქტიდან ამოღებულ იქნა „გ" ქვეპუნქტი.

შ.ოგბაიძე - დადგენილების პროექტის შესწავლის პროცესში, კომისიამ მიზანშეწონილად მიიჩნია „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტის განვითარების სააგენტოს დაფუძნებისა და დებულების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 24 იანვრის №52-1 დადგენილებიდან ამოღებული იქნას საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 125-ე მუხლის მე-12 ნაწილი.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა დასკვნის პროექტი. ხმათა უმრავლესობით (მომხრე - 4; თავი შეიკავა - 0, წინააღმდეგი - 0) კომისიამ დაადგინა:

- **„ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტის განვითარების სააგენტოს დაფუძნებისა და დებულების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 24 იანვრის №52-1 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი მითითებული შენიშვნების გათვალისწინებით (16-03200446-03; 13.02.2020) განხილულ იქნეს საკრებულოს სხდომაზე.**

12. „საქართველოს დედაქალაქის ადმინისტრაციულ საზღვრებში მსუბუქი ავტომობილით - ტაქსით (M1 კატეგორია) გადაყვანის სანებართვო პირობების, ნებართვის გაცემის წესის, ნებართვის მოქმედების ვადის, ნებართვის გაცემის ფასისა და მისი გადახდის წესის, სანებართვო მოწმობის ფორმის, ნებართვის მქონე პირების შესახებ ერთიანი საინფორმაციო ბაზის შექმნის, განახლების და დამუშავების წესის განსაზღვრის შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 27 ივლისის №24-80 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი (16-03200446-03; 13.02.2020).

ვ.აბულაძე - წარმოდგენილი პროექტის მიხედვით, ცვლილებები შედის დადგენილების შემდეგ მუხლებში:

მე-2 მუხლის (ტერმინთა განმარტება) „ვ“ ქვეპუნქტი ყალიბდება შემდეგი რედაქციით:

„ვ) ნებართვის გამცემი - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობა ან მის მიერ უფლებამოსილი პირი“;

მე-14 მუხლის პირველი პუნქტი ყალიბდება შემდეგი რედაქციით:

„1.ნებართვის მფლობელის მიერ სანებართვო პირობების შესრულებას აკონტროლებს ნებართვის გამცემი ან მის მიერ განსაზღვრული პირი საქართველოს კანონმდებლობისა და ამ წესის შესაბამისად“.

განხორციელებული ცვლილებები ნორმატიულ აქტში გამოწვეულია ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 24 იანვრის №52-1 დადგენილებით, რომლის თანახმადაც, 2020 წლის პირველი მარტიდან ფუძნდება სსიპ ,,ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტის განვითარების სააგენტო“, რომელიც წარმოადგენს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ტრანსპორტის საქალაქო სამსახურის უფლებამონაცვლეს.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა დასკვნის პროექტი. ხმათა უმრავლესობით (მომხრე - 4; თავი შეიკავა - 0, წინააღმდეგი - 0) კომისიამ დაადგინა:

- „სანებართვო მოწმობის ფორმის, ნებართვის მქონე პირების შესახებ ერთიანი საინფორმაციო ბაზის შექმნის, განახლების და დამუშავების წესის განსაზღვრის შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 27 ივლისის №24-80 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი (16-03200446-03; 13.02.2020) განხილული იქნეს საკრებულოს სხდომაზე.

13. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტის განვითარების სააგენტოს ელექტრონული საქმისწარმოების წესის

დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი (16-03200446-03; 13.02.2020).

ვ.აბულაძე - წარმოდგენილი პროექტის მიხედვით, დანართის შესაბამისად, მტკიცდება ,,ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის-სსიპ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტის განვითარების სააგენტოს“ ელექტრონული საქმისწარმოების წესი, რომელიც დაარეგულირებს სააგენტოს ელექტრონული დოკუმენტბრუნვის სისტემის მეშვეობით საქმისწარმოების და მომსახურების განხორციელების პირობებს.

სააგენტოს მიერ ელექტრონული საშუალებით ადმინისტრაციული წარმოების დაწყება შესაძლებელი იქნება ელექტრონული დოკუმენტბრუნვის სისტემაში განთავსებული დაინტერესებული პირის განცხადებით ან/და სამსახურის ინიციატივით.

ამასთან, განმცხადებელი ყველა დოკუმენტს და ინფორმაციას, რომელიც აუცილებელია განცხადებაში აღნიშნულ საკითხზე გადაწყვეტილების მისაღებად, სააგენტოს წარუდგენს ელექტრონული დოკუმენტბრუნვის სისტემის საშუალებით ვებ-გვერდზე: www.ms.gov.ge .

პროექტის თანახმად, განცხადების განხილვა, დოკუმენტის ვიზირება და შესაბამისი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემა ხორციელდება ელექტრონული დოკუმენტბრუნვის სისტემის საშუალებით. სააგენტოს უფროსის ან მის მიერ უფლებამოსილი პირის მიერ ინდივიდუალური ადმინისტრაციული სამართლებრივი აქტი გამოიცემა ელექტრონული დოკუმენტბრუნვის სისტემის მეშვეობით. სააგენტოს მიერ ელექტრონული დოკუმენტბრუნვის სისტემის საშუალებით გამოცემული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი ძალაში შედის დაინტერესებული მხარის მიერ მისი გაცნობისთანავე.

ელექტრონული მომსახურების განხორციელებისას გამოიყენება მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებული ვადები.

ელექტრონულ საქმისწარმოებასთან დაკავშირებული საორგანიზაციო და ტექნიკური საკითხები განისაზღვრება ელექტრონული საქმისწარმოებისა და დოკუმენტბრუნვის ინსტრუქციით, რომელსაც ამტკიცებს სააგენტოს უფროსი.

დადგენილება ამოქმედდება 2020 წლის 1 მარტიდან.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა დასკვნის პროექტი. ხმათა უმრავლესობით (მომხრე - 4; თავი შეიკავა - 0, წინააღმდეგი - 0) კომისიამ დაადგინა:

- **„ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტის განვითარების სააგენტოს ელექტრონული საქმისწარმოების წესის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი (16-03200446-03; 13.02.2020) განხილული იქნეს საკრებულოს სხდომაზე.**

კომისიის თავმჯდომარემ სხდომა დახურულად გამოაცხადა.

სატრანსპორტო საკითხთა კომისიის თავმჯდომარის მ/შ

შალვა ოგბაიძე